ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის Erasmus+ გაცვლითი პროგრამა
ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტში, რუმინეთი

2015 წლის გაზაფხულის სემესტრისთვის

საბუთების წარდგენის ბოლო ვადა: 30 ოქტომბერი, 2015

გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობისთვის ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტში, რუმინეთი.

კონკურსი ცხადდება შემდეგ მობილობებზე:

აკადემიური საფეხური	სტიპენდიატების რაოდენობა	მობილობის ხანგრძლივობა	აკადემიური მიმართულება[1]
ბაკალავრიატი	2 სტუდენტი	5 თვე	Business and Administration (041) Tourism (1015) Environmental Sciences (052)
მაგისტრატურა	2 სტუდენტი	5 თვე	Business and Administration (041) Tourism (1015) Environmental Sciences (052)
აკადემიური პერსონალი (სწავლების მიზნით)	2 პროფესორი	7 დღე	Business and Administration (041) Tourism (1015) Environmental Sciences (052)
ადმინისტრაციული პერსონალი (ტრენინგის მიზნით)	1 თანამშრომელი	7 დღე	ნებისმიერი

მობილობის ვადები:

- სტუდენტთა მობილობა უნდა განხორციელდეს გაზაფხულის სემესტრში - 22.02.2016 - 10.07.2016.
- პერსონალის მობილობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2016 წლის 1 ივლისისა.

სტიპენდიის რაოდენობა:

- საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის - 750 ევრო თვეში (5 თვეზე 3750 ევრო)
- უნივერსიტეტის პერსონალისთვის - 140 ევრო დღეში (7 დღეზე 980 ევრო)

[1] აკადემიური მიმართულებებისა და კოდების განმარტებისთვის იხილეთ:
http://www.uis.unesco.org/Education/Documents/isced-fields-of-education-training-2013.pdf

კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები:

- **სტუდენტები** კონკურსის მიმდინარეობისას უნდა ირიცხებოდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამის საფეხურზე.

  მნიშვნელოვანია!
  კანდიდატებმა განაცხადი უნდა შეიტანონ იმ საფეხურის მობილობაზე, რომელზეც კონკურსის მიმდინარეობისას ირიცხებიან. მაგალითად, ბაკალავრიატის სტუდენტს არ აქვს მაგისტრატურის საფეხურის მობილობაზე განაცხადის შემოტანის უფლება.

  კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ:
  - *პირველი და დამამთავრებელი კურსის ბაკალავრებს*
  - *მეორე კურსის მაგისტრანტებს*
  - *მათ, ვისაც ბოლო 5 წლის განმავლობაში 12 თვეზე მეტი აქვთ გატარებული ევროკავშირის წევრისმიერ ქვეყანაში*
  - *მათ, ვისაც უკვე მიღებული აქვთ ერაზმუს მუნდუსის გრანტი ანალოგიურ საფეხურზე*

- **აკადემიური პერსონალი** უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი.

- **ადმინისტრაციული პერსონალი** უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შტატიანი თანამშრომელი.

სააპლიკაციო დოკუმენტები:

	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	პერსონალი
პირადობის მოწმობის / პასპორტის ასლი	√	√	√
შევსებული სააპლიკაციო ფორმა[2]	√	√	√
EUROPASS CV (ინგლისურ ენაზე)	√	√	√
მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე)	√	√	√
ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა[3]	√	√	√
ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე)	√	√	
2 სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე)	√	√	
ეკონომიკური, სოციალური ან ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში)	√	√	
ბოლოს მიღებული უმაღლესი განათლების საფეხურის დიპლომი დანართითურთ		√	√
აკადემიური ან ადმინისტრაციული საქმიანობის გეგმა			√
მხარდაჭერის წერილი მიმღები უნივერსიტეტის პროფესორის /ადმინისტრაციული ერთეულისგან[4]			√

[2] სტუდენტის სააპლიკაციო ფორმა / პერსონალის სააპლიკაციო ფორმა

[3] სტუდენტებისთვის მოითხოვება B1 დონე, პერსონალისთვის - B2. TOEFL ან IELTS ცნობა სავალდებულო არ არის, თუმცა სერტიფიკატის მქონე კანდიდატებს შესაძლოა მიენიჭოთ უპირატესობა. თუ კანდიდატს მიღებული აქვს წინა განათლება ინგლისურენოვან პროგრამაზე, სერტიფიკატი/ცნობა აღარ მოითხოვება.

[4] სავალდებულო არ არის. არ მოითხოვება ოფიციალური დოკუმენტი, საკმარისია ელ-ფოსტით მიღებული თანხმობა.

განაცხადების მიღება:

სააპლიკაციო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2015 წლის 30 ოქტომბერი.**

სააპლიკაციო დოკუმენტები (.pdf ფორმატით) მიიღება შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: erasmusplus@iliauni.edu.ge. კანდიდატებმა ელ-ფოსტის სათაურში უნდა მიუთითონ: **განაცხადი - ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტი.**

მნიშვნელოვანია!
გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ განიხილება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადები. დაუშვებელია კონკურსისათვის საჭირო დოკუმენტების ეტაპობრივად გამოგზავნა. ასეთ შემთხვევაში, კანდიდატი ავტომატურად მოიხსნება განხილვის პროცედურიდან.

შერჩევის პროცედურა:

1. სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. გასაუბრება კომისიასთან[5] - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
   კომისია შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან, რომელთაგან ერთი ან ფაკულტეტის წარმომადგენელია ან სტუდენტი
3. კანდიდატთა ნომინირება სტიპენდიაზე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. საბოლოო შერჩევა - ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტი

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- აკადემიური მოსწრება
- ენობრივი კომპეტენცია
- მოტივაციის წერილი
- რეკომენდაცია

საბოლოო შერჩევის შემდეგ წარმატებული კანდიდატები

- მიიღებენ მოწვევის წერილს ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტიდან
- შეიტანენ განაცხადს ვიზის მისაღებად
- ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტი შერჩეული კანდიდატებისთვის უზრუნველყოფს ადგილს სტუდენტურ საცხოვრებელში (სავარაუდო ფასი - 50 ევრო თვეში)
- კანდიდატებმა თავად უნდა დაფარონ ვიზისა და სამედიცინო დაზღვევის ხარჯები (ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო დახმარებას სტუდენტებისათვის რუმინეთში ყოფნის პერიოდში. თუმცა დაზღვევის ქონა აუცილებელია ვიზის მისაღებად)

[5] მხოლოდ სტუდენტების შემთხვევაში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა განხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

- სტუდენტებმა უნდა შეავსონ სასწავლო ხელშეკრულება (რომელსაც მიიღებენ მიმღები უნივერსიტეტისგან). დოკუმენტი უნდა შეთანხმდეს ორივე უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებთან, რაც აუცილებელია შემდგომში კრედიტების აღიარებისთვის
- პერსონალმა უნდა შეავსოს აკადემიური ან ადმინისტრაციული საქმიანობის ფორმა, რომელიც უნდა შეთანხმდეს როგორც მიმღებ, ისე მშობლიურ უნივერსიტეტთან
- ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტი შეიძენს ავიაბილეთებს კანდიდატებისთვის მას შემდეგ, რაც ისინი მიიღებენ ვიზას
- სტუდენტები რუმინეთში ჩასვლიდან ერთი თვის განმავლობაში მიიღებენ ერთად 2 თვის სტიპენდიას, რომელიც დაერიცხებათ რუმინეთის ბანკში გახსნილ ანგარიშზე. დარჩენილი სტიპენდია გაიცემა ყოველთვიურად მობილობის დასრულებამდე
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გრანტი გაიცემა რუმინეთში ჩასვლის შემდეგ

დეტალური ინფორმაცია ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტში მობილობის და შემოთავაზებული კურსების შესახებ იხილეთ ბმულზე: http://cci.ubbcluj.ro/erasmus/erasmus_partner.php

დამატებითი შეკითხვებით მიმართეთ:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საგარეო ურთიერთობების სამსახურს
erasmusplus@iliauni.edu.ge